



საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო
სახმელეთო ტრანსპორტის სააგენტოს დირექტორის

ბ რ ძ ა ნ ე ბ ა

ქ. თბილისი

N 135
13/12/2019

135-01-4-201912131757



„ტრანსპორტის მინისტრთა ევროპის კონფერენციის (ECMT) მრავალმხრივი
ნებართვების გაცემის საკითხთა განმხილველი კომისიის შექმნის შესახებ“
სახმელეთო ტრანსპორტის სააგენტოს დირექტორის 2011 წლის 15 აპრილის №11
ბრძანებაში
ცვლილების შეტანის თაობაზე.

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლის შესაბამისად,

ვბრძანებ:

1. „ტრანსპორტის მინისტრთა ევროპის კონფერენციის (ECMT) მრავალმხრივი
ნებართვების გაცემის საკითხთა განმხილველი კომისიის შექმნის შესახებ“ სახმელეთო
ტრანსპორტის სააგენტოს დირექტორის 2011 წლის 15 აპრილის N11 ბრძანებით
დამტკიცებული კომისიის რეგლამენტში შევიდეს ცვლილება და რეგლამენტის 4¹ და
4² პუნქტები ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„4¹. კომისია დააკმაყოფილებს განმცხადებლის მოთხოვნას, კომისიის
გადაწყვეტილებით მასზე გამოყოფილი კვოტების რაოდენობის შემცირების თაობაზე,
კომისიის მიერ გადაწყვეტილების მიღებიდან 5 დღის ვადაში.

4². მომსახურების საფასურის გადახდა მრავალმხრივი ნებართვის მაძიებლის
მიერ უნდა მოხდეს სრულად, მასზე საბოლოოდ გამოყოფილი ნებართვების
რაოდენობის შესაბამისად, კომისიის მიერ გადაწყვეტილების გამოქვეყნებიდან 10
სამუშაო დღის ვადაში. გადაუხდელობის შემთხვევაში კომისიის გადაწყვეტილება
უქმდება და აღნიშნულ ნებართვის მაძიებელზე გამოყოფილი კვოტა (მათ შორის
შეზღუდული ქვეყნების) ბრუნდება კომისიის განკარგულებაში, შემდგომი
გადანაწილების მიზნით.“.

2. ბრძანება ძალაშია ხელმოწერის დღიდან.

მიხეილ ხმალაძე

